



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება

№ 131

ქალაქი ქუთაისი 30 მარტი 2016 წელი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N62 დადგენილებაში /[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 26.12.2014.N190020020.35.123.016.272/. კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების N2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი N2 დადგენილებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

პროგრამა „კორპუსით“ განსაზღვრული ღონისძიებების  
თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

N	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი პროცენტებში	მერიის წილის %	ამხანაგობის წილის %
1.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, რომელიც გულისხმობს: ეზოს მოპირკეთებას ბეტონის, ასფალტობეტონისა და დაწნეხილი ფილების გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში ღია ან დახურული სანიაღვრე არხების მოწყობა). მოთხოვნის შემთხვევაში ფანჩატურის, საბავშვო ატრაქციონის (მოედნით), საბაღე ძელსკამების, მცირე ზომის სანაგვე ურნებისა და მარტივი ტიპის ტრენაჟორების მოწყობას			
2.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია			
3.	სადარბაზოების შესასვლელებში რკინის საკეტიანი კარების მონტაჟი, სურვილის შემთხვევაში, აუცილებლობის დროს, პანდუსების მოწყობა, სადარბაზოს კარებამდე მისასვლელი კიბეების რეაბილიტაცია, შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციისა და ბაქანის რეაბილიტაცია, მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმა, სენსორული განათებების მოწყობა და სადარბაზოებში არსებული წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	90/10	90	10
4.	საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა			
5.	პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	90/10	90	10
6.	ატრაქციონების შექმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის			
7.	ძელსკამების შექმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის	60/40	60	40

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი